

საქართველო



ფასი 3 მან.

პერიოდი, 18 აპრილი 1920 წ.

საქართველოს სახელმწიფო აპარატი

თბილისის მთავრობის მიერ, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არაოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს სახელმწიფო აპარატი

მიიღება ხელის მოწერა ვაჭ. კ. საქ. რესპ. 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტრის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ ზომისა 140 მ. 1 ინან. გაზეთი ნისიად არაფის გვეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი. ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1-82.

კონსპურსი

გორის და მის მიდამოებში მომხდარ მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის საგანგებო კომიტეტი

აქცადებს კონკურსს სეისმოლოგიური საცხარებელ სახლების პროექტის შესადგენათ, ვაჭყა და 300 დოლარით ადგილებზე.

შემდეგ პირობებში:

1) უნდა დაზარალებული პროექტი სოფლურ ორ ოთახიან სახლსა თვისი სამხარეული ოთახი პირველი ოთახის სიგრძე=4-5 ოთხკუთხი საფ., მეორე=7-8 ოთხკუთხი საფ. მეორე ოთახის აგებულება ნაპირადი უნდა იყოს ისე, რომ საჭიროებისამებრ, კაპიტალურ შუაგულის ვაჭყებულად შეიძლება მისი ორ ოთახად გაყოფა, მეორე ოთახშივე უნდა მოწყოს საწოლი ტახტები და კედლის განჯინები ქურჭლებების, ტანსაცმლის და ყოველ დღე საჭიარებელ სანოვაგის შესანახად.

2) სახლზე მიწებები უნდა იქმნეს: ვერანდა (ბალკონი), ერთი საფ. სიგანისა, გრილი საკუქნაო სურსათისათვის (ლობია, ხახვი, ყველი და სხვა), რომლის სიგრძე=2 კვ. საფ. და ფეხის ადგილი, რომელიც თუშკა შევრთვებული უნდა იყოს სახლთან, მაგრამ შიგინიერი მოსაზრებით არ უნდა იყოს მიღებული მაზე ორგანიზაციად.

3) პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად დებულებებს:

- ა) განზრახული შენობა უნდა იყოს სეისმობედეგი.
ბ) განზრახული შენობა უნდა იყოს ეკონომიური. (მასალის დაზოგვით ნაშენი).
გ) განზრახული შენობა უნდა იყოს ჰიგიენური.
დ) განზრახული შენობა უნდა იყოს ცეცხლისა და მძვინვარების უსაფრთხო.
ე) განზრახული შენობა უნდა აკმაყოფილებდეს დაზარალებულ რაიონის ყოფაცხოვრების პირობებს.
ვ) შენობა უნდა წარმოადგენდეს ხელოვნებით ანასახს, რამდენადაც ასეთ მცირე და მარტივ მიზანს შეეფერება და შეფარდებული უნდა იყოს ადგილობრივ ყოფაცხოვრებისა და გროვულ თავისებურებასთან.
ზ) რადგანაც ადგილობრივ ბაზარზე არ მოიპოვება მრავალი სხვა და სავაჭრული მასალა, ამიტომ პროექტის შედგენის დროს შეგუდვით უნდა იყოს მხოლოდ შემდეგი მასალა:
ა) სპირიტისათვის-საფუძე-ქვა, დატეხილი რიყის ქვა, ბეტონი.
ბ) კედლისათვის-აგური, ქვა, დამუშავებული და დაუმუშავებელი ტყის მასალა, თიხა, ბეტონი.
გ) ქერისათვის-დამუშავებული და დაუმუშავებელი ტყის მასალა.
დ) სახურავისათვის-რა მასალასაც ავტორი დანიშნავს საჭიროდ, ვარა რკინისა, რომლის ხმარება არ არის სასურველი.
ე) ადგილობრივ ბაზარზე უქონლობის გამო, რაც შეიძლება ნაკლებ უნდა იქმნეს ხმარებულ შემდეგი მასალა: რკინა, დუღაბი (კემენტი), ტყის დამუშავებული მასალა (გამონაკლისი-სახურავის ყავარი) კედლების ასაშენებლად არ შეიძლება ხმარება მთელი ხის ნაშრომების, თუნდაც დაუმუშავებელისა.

6) პროექტის წარმოსადგენი უკანასკნელი ვალა დანიშნულია მისისათვის;

7) თავის გადაწყვეტილებას ექვრი გამოიტანს ერთი კვირის განმავლობაში დღიდან პროექტის წარდგენისა. პრემიის მისჯის წინ და მის შემდეგ ორი დღის განმავლობაში წარმოდგენილი პროექტი გამოეფინო იქნება საჯაროდ. გაცხადებანი ექვრის გადაწყვეტილებაზე, თუ ასეთები იქნება, მიიღება ორი დღის განმავლობაში, რომლის შემდეგ შემოსული განცხადება განუხილავად იქნება დატოვებული.

ექვრის გადაწყვეტილების შემდეგ, კომისიის უახლოეს სავრო სხდომაზე გაიხსნება სადევნო პაქეტი და გამოეყენება ავტორის ვინაობა.

8) ექვრი შესდგება შემდეგი 5 პირობაგან: ინჟ. ქურდიანი, ტერ-მიჩელიანი, რიგვორსკი-სავიჩი, წარმომადგენელი გორის ერობისა და მთავარ კომიტეტის. ვარა ამისა მოწყვეულ იქნება მხატვართა და გეოლოგთა კომისიები დასკვნისათვის.

9) პროექტი უნდა წარმოადგენდეს იქნეს ლაით, რაიმე დევიზით, და დახურულ სადევნო პაქეტით, რომელშიაც იქნება ნაწვევები ავტორის ვინაობა და მისამართი.

10) ნახაზი მასშტაბი: 2 დიუი. =საყენს-შენობის ვაჭრობა და პირობათვის (ქვანა)=1 დიუი საყენს.-გვეგმისათვის პროექტის აგებულების წვრილმანებში, რომელიც ნახაზს მის თავისებულებას (თანახმად მისი სეისმოლოგიისა) დანიშნულებისა უნდა შესრულდეს გადიდებული მასშტაბით, თვით ავტორის შეხედულებით. პროექტების ნახაზის შესრულების წესი (ფანქარი, ტუში და სხვა) დამოკიდებულია ავტორის სურვილზე. პროექტის თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი.

11) საუკეთესო პროექტებისათვის, რომელნიც დააკმაყოფილებდ კონკურსის პროგრამას, დანიშნულია ორი პრემია: 25000 მან., და 15000 მან. ამასთან ერთად საგანგებო კომიტეტი იტოვებს უფლებას წარმოადგენდ უპრემიო პროექტებიდანაც 10000 მანეთად შეისყიდოს ის პროექტი, რომელიც მას მოეწონება.

12) თვითუღმა კონკურენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტის ორი ვარიანტი ვაკისა და ფერდობებისათვის, პროექტის განხილვა შეიძლება აგრეთვე ცალკე და ექვრის გადაწყვეტილებით. პრემია მიეცემა თვითუღმა პროექტს ცალკე, სავრო და გადადებულ თანხიდან ექვრის გადაწყვეტილების თანახმად.

13) პროექტი უნდა წარმოადგენდ იქმნეს ქალაქთა ვაჭრობის სატენიკო განყოფილებაში (პუშკინის ქ. № 3).

კომიტეტის თავმჯდომარე რ. არხენიძე. 435 3-1

ოფიციალური განყოფილება

განკარგულაზანი

იუსტიციის მინისტრისა.

25 თებერვალი, 1920 წ., № 54.

დაინიშნა დროებით: ახალციხის მომრიგებელ მოსამართლეთ ერობის მიერ მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევამდე ალფესი ივანეს ძე ცისკარიძე ა. წ. თებერვლის 25-დან.

26 თებერვალი, 1920 წ., № 55.

დაინიშნა: ქიათურის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად სასამართლოს თანამდებობათა უმცროსი კანდიდატი ნესტორ ბესარიონის ძე აბესაძე ა. წ. მარტის 22-დან.

10 მარტი, 1920 წ., № 73.

რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. თებერვლის 17-ს დადგენილების ძალით დაინიშნა: ტფილისის საგანგებო სასამართლოს წევრად ნაფიც ვეჭლის თანამდებზე იოსებ დავითის ძე ციციშვილი ა. წ. თებერვლის 17-დან.

30 მარტი, 1920 წ., № 93.

ა. წ. მარტის 6-ს № 65 ბრძანების დამატება სამინისტროს კანცელარიის ხაზინადარს იოსებ მაისურაძეს დაევალოს კანცელარიის მეორე განყოფილების სახაზინაო ნაწილის და მიმდინარე მიწერ-მოწერის პირდაპირი გამგებლობა განყოფილების უფროსის უფლებით.

30 მარტი 1920 წ., № 94.

დაინიშნა: სამინისტროს კანცელარიის ეგზეკუტორი არჩილ ტალახაძე სამინისტროსავე კანცელარიის ხაზინადრის თანამდებზე ა. წ. აპრილის 1-დან.

30 მარტი, 1920 წ., № 95.

დაინიშნა: სამინისტროს კანცელარიის ეგზეკუტორად ტფილისის ოლქის სასამართლოს მოხელე მარიამ დიმიტრის ასული ორლოვსკაია ა. წ. აპრილის 1-დან.

1 აპრილი, 1920 წ., № 97.

დაინიშნა: ტფილისის მუზის მე-2 უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად სასამართლოს თანამდებობათა უფროსი კანდიდატი ბოგდან მარტიროვის ძე გამაზოვი ა. წ. აპრილის 1-დან. № 98.

რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. აპრილის 1-ს დადგენილების ძალით განთავისუფლებულია თანახმად თავისი თხოვნის თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის აზნავაი ზაალ ანდრონიკაშვილი აპრილის 1-დან.

იუსტიციის მინისტრი რ. არხენიძე.

გზათა დეპარტამენტისა

ბ. სახაზინაო რკინის გზების უფროსის.

26 მარტი, 1920 წ., № 31.

დღევანდელი დათვალეობების დროს სამასლო ნაწილისა, წვევის და ექსპლოატაციის სამსახურისა მიქცეული იყო ყურადღება სხვა და სხვა უარყოფითი მხარეებზედ. მრავალი რიცხვი მოსამსახურეებისა 9 1/2 საათზედაც არ იყო მოსული სამსახურში, ზოგიერთ ნაწილებში აშკარად სჩანს, რომ უფროსები არ აქცევენ ჯუროგან ყურადღებას, როგორც მოსამსახურეთა სამსახურში დროზედ მოსვლას, აგრეთვე მათ მუშაობის ნაყოფიერებას. რამდენიმე მოსამსახურე გართული იყო გაზეთის კითხვითაც.

წინადადება გაძლეეთ მიიღოთ გადამწყვეტი ზომები აღნიშნულ მოვლენათა საბოლოოდ მოსასობად და განსაკუთრებით კი დასაჯოთ ის ზედამხედველი ნაწილებისა და განყოფილებისა, რომელთაც არც კი იციან როგორ უხელმძღვანელონ ხელქვეით ავტონომუშაობას.

ვარა ამისა წინადადებას გაძლეეთ:

1) ყველა ის მოსამსახურე, რომელიც კანონიერ მიზეზის უქონლად ჩემ მიერ დათვალეობების დროს არ აღმოჩნდნენ თავის ადგილზედ და რომელთა სია ჩემის განკარგულებით თქვენ უნდა წარმოგედგინოს, დასჯილ იქნენ სასტიკი საყვედურის გამოცხადებით და თვიურ ჯამაგირის 1-50-ის გამორიცხვით; აღმინისტრატორების შესახებ ეს ზომა გატარებულ იქნეს დაუყოვნებლივ, ხოლო პროფესიონალურ კავშირის წევრთა შესახებ გადაეცეს სადისციპლინარო სასამართლოს;

2) ყველა ის მოსამსახურე (ასეთი სამი იყო), რომელიც გაზეთის კითხვით იქცევდნენ თავს, ჩამოქვეითებულ იქნენ სამსახურში, სასტიკი საყვედურის გამოცხადებით და 1/3 ნაწილის თვიური ჯამაგირის გამორიცხვით. სასჯელი ვატარდეს ისე, როგორც აღნიშნულია პირველ პუნქტში;

3) მთელი თანხა, შემოსული დაჯარიმებისაგან, გადაეცეს გორის რაიონის დაზარალებულ რკინის გზელთა ოჯახობებს;

4) გამოეცხადოს საყვედური წვევის სამსახურის სამასლო განყოფილების უფროსს და მის თანამდებზე, მთავარ ბუქვალტერს და მის თანამდებზე, აგრეთვე ექსპლოატაციის უფროსსაც იმისათვის, რომ ნამეტანი ლობიერებით ასეთ უდისციპლინარობამდე მიიყვანეს მოსამსახურენი;

5) გამოცხადებულ იქნეს ყველა სამსახურეში და ნაწილებში, რომ უფროსები ყველაზედ ადრე უნდა მოდიოდნენ და ყველაზედ გვიან უნდა მიდიოდნენ სამსახურიდან და სასტიკად უნდა ადგენდნენ თვალს მოსამსახურეთა მუშაობას;

6) გაფრთხილებულ იქმნენ ყველა მოსამსახურე, რომ ამ პირველ შემთხვევაში მიღებულია დამინიშნავთა წინააღმდეგ მსუბუქი სასჯელი. ასეთი მოვლენის განმეორებისათვის შემდეგში ისინი სრულიად გაძევებული იქნებიან სამსახურიდან და მათ უფროსებს ალექტობადათ დახოვენა ადგილას ახალ მოსამსახურეთა მიღება, ვინაიდან ასეთი მუშაობა შტატის ზედმეტობას აღნიშნავს;

7) ეს ბრძანება გამოცხადებულ იქნეს საყოველთაო ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი კიკნაძე.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

5 მარტი, 1920 წ., № 47.

დათხოვნილ იქმნა: სრულიად სამსახურიდან სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის ლიტოგრაფიის მმართველის თანამდებზე გიორგი მისხვილის ძე ავალიანი თანახმად თავის თხოვნისა ამა წლის 1 მარტიდან.

5 მარტი, 1920 წ., № 48.

დაინიშნა: სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის სამეურნეო ნაწილის გამგე ნიკოლაზ ივანეს ძე ბეჟანაშვილი ამავე ექსპედიციის ლიტოგრაფიის მმართველის თანამდებზედ ამა წლის 1 მარტიდან.

5 მარტი, 1920 წ., № 49.

დაინიშნა: სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის კონტროლიორი ივანე ტატიშვილი ამავე ექსპედიციის სამეურნეო ნაწილის გამგეთ ამა წლის 1 მარტიდან.

5 მარტი, 1920 წ., № 50.

დაინიშნა: სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციაში კონტროლიორად დავით ივანეს ძე კვიციანი ამა წლის 3 მარტიდან.

5 მარტი, 1920 წ., № 51.

დაინიშნა: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბუჯეტო სახაზინო ნაწილის უფროსის თანამდებზედ ამავე თანამდებობის დროებით აღმასრულებელი დავით ვასილის ძე ქუთათელაძე ამა წლის 4 მარტიდან.

4 მარტი, 1920 წ., № 52.

დაინიშნა: რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების წვრილი კრედიტის ინსპექტორი დავით ყარაპანის ძე ჩხეიძე ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის უფროსად ამა წლის 1 მარტიდან.

გვროპულ-აზიური სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოების

„მეგრავილი“ გამგებობა

ამით აცხადებს აქციონერების საყურადღებოთ, რომ ამა წლის 15 აპრილისათვის დანიშნული აქციონერების ყრილობა, თანახმად § 51 საზოგადოების წესდებისა, გადადებულია ამა წლის 1-ლი მაისისათვის დღისით 1 საათზე იმავე შენობაში თანახმად § 53 იმავე წესდებისა.

ყრილობა ჩაითვლება კანონიერად და გადაწყვეტილება საბოლოოთ. განსახილველი საგნები იგივეა. 709 1-1

გორჯოვის სახელმწიფო გაგულის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, აპრილის 26-ს, დღის 12 საათზე, მამულის სამმართველოს შენობაში, ბორჯომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ფოსტაზე. ფოსტასთან არის საავტომობილო ვარაჯი, სამხარეული ბინა-4 ოთახისგან და დიდი ეზო. ვაჭრობა დაიწყება 20 ათას მან. 720 3-1

საქართველო რკ. გზის სამმართველო

20 აპრილს დღის 12 საათზე იწვევს კონკურენტებს დახურულ განცხადებებით ბუფეტების, კარების და სადალაქობების ერთი წლით იჯარით გასაცემთ შემდეგ სადგურებზე: ახალსენაკში, საჩხერეში და ძარულაში-ბუფეტები ცივი საუზმით: აგ-ტაგლია და წაღვერში-სავაჭრო კარები; ხაშურში, ქუთაისში, შორაპანში, ტფილისში, ფოთში და საჩხერეში-სადალაქობები და აგრეთვე ბუფეტები სასწრაფო მატარებლების № 1 და 2 ვაგონ-რესტორანებში. განცხადებების შეტანა შეიძლება პირადათ ან ფოსტით. განცხადებას თან უნდა ახლდეს წინასწარ საწინდრის კვიტანცია: ბუფეტისთვის ასი თუმანი, სადალაქობა და კარებისთვის ხუთთას-ხუთასი მან. და ვაგონ-რესტორანის მთავარ სალაროში, ან ერთ-ერთ სადგურის სალაროს შეტანა შეიძლება სამმართველოს მთავარ სალაროში, ან ერთ-ერთ სადგურის სალაროში. იმ შემთხვევაში თუ წინადადება არ იქნა მიღებული, ფული პატრონს დაუბრუნდება. დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება ექსპლოატაციის ნაწილში. 10-2 საათამდე. 414 3-1

4 მარტი, 1920 წ., № 53.

ჩემი ფოთიდან დაბრუნების გამო თანახმობით საბჭოს წევრისა ვ. მ. მიქაძის და საბჭოს საკმის მწარმოებლის ნ. ს. კურდღელაშვილის, ვანთავისუფლებ მინისტრის მოვალეობის აღმასრულებლობისაგან ჩემს ამხანაგს ს. ლ. ავალიანს ამა წლის 1 მარტიდან და შეუდევნი მინისტრის მოვალეობის აღსრულებას.

5 მარტი, 1920 წ., № 54.

ჩემი ფოთში გამგზავრების გამო, თანახმობით საბჭოს წევრის ვ. მ. მიქაძის და ამავე საბჭოს საკმის მწარმოებლის ნ. ს. კურდღელაშვილის, 28 თებერვ. ამა წელსა, ვაღაგებ მინისტრის მოვალეობის აღმასრულებლობას ჩემს ამხანაგს ს. ლ. ავალიანს.

10 მარტი, 1920 წ., № 59.

დაინიშნას: ფოთის საბაჟოს გამგე ალექსანდრე მანუჩარის ძე მიქაძე საბაჟო ნაწილის გამგის თანაშემწედ ამა წლის 9 მარტიდან.

10 მარტი, 1920 წ., № 60.

დაინიშნას: მთავარ საბაჟოს გამგის თანაშემწე ლეონიდ სვიმონის ძე ქიქოძე ტფილისის საბაჟოს გამგის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის 9 მარტიდან.

10 მარტი, 1920 წ., № 61.

დაინიშნას: მთავარ საბაჟოს გამგის თანაშემწე სერგო ლევანის ძე ლოლობერიძე ფოთის საბაჟოს გამგეთ ამა წლის 9 მარტიდან.

10 მარტი, 1920 წ., № 62.

დაინიშნას: მთავარ საბაჟოს რევიზორი ვიქტორ ნესტორის ძე ალშობია ტფილისის საბაჟოს გამგის თანაშემწედ ამა წლის 9 მარტიდან.

10 მარტი, 1920 წ., № 63.

დაინიშნას: მთავარ საბაჟოს მდივანი სვეტიცხოველი სამსონის ძე კეკელიძე საბაჟოს ნაწილის მდივანად ამა წლის 9 მარტიდან.

10 მარტი, 1920 წ., № 64.

დაინიშნას: ნადრევანის საბაჟოს გამგე იოსებ ბეჟანის ძე გუშუშვილი საბაჟოს ნაწილის საკმის მწარმოებლად ამა წლის 9 მარტიდან.

10 მარტი, 1920 წ., № 65.

დაინიშნას: მთავარ საბაჟოს მდივნის უფროსი თანაშემწე კონსტანტინე ივანეს ძე ქიქოძე საბაჟოს ნაწილის საკმის მწარმოებლად ამა წლის 9 მარტიდან.

10 მარტი, 1920 წ., № 67.

დაინიშნას: ქუთაისის ხაზინის პირველ ხარისხის ბუღალტერი ვლადიმერ იოსების ძე კვიციანიძე სამინისტროს საბიუჯეტო სახანო ნაწილის ბუღალტრის თანაშემწედ ამა წლის 9 მარტიდან.

10 მარტი, 1920 წ., № 68.

ვანთავისუფლებ: საბიუჯეტო სახანო ნაწილის უფროსს ალექსანდრე იოსების ძე კანდელაკს მასზე დაკისრულ ფინანსთა დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის აღსრულებასაგან დეპარტამენტის ვაჭკმების გამო; ვაჭკმებს მას დაუბრუნდეს თავის, პირდაპირის მოვალეობის აღსრულებას.

10 მარტი, 1920 წ., № 69.

დაინიშნას: ყოფილ სავაჭრო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი გიორგი ესტატეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს რევიზორად ამა წლის 1 მარტიდან.

11 მარტი, 1920 წ., № 70.

დაინიშნას: ქუთაისის ხაზინის მე-2-რე ხარისხის ბუღალტრად ზესტაფონის პირველი ხარისხის მოლარე ერმილე გიორგენიძე ამა წლის 1 მარტიდან.

ფინანსთა მინისტრის ამხ. ს. ავალიანი.

ბ რ ქ ა ნ ე ბ ა ნ ი

მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

19 თებერვალი, 1920 წ., № 52.

აღკვეთულ იქმნა: მ. ი. ფედოროვი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწე პირველ ხარისხით, 1 იანვრიდან 1920 წ.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ვ. ა. კრავცოვი, ქსნის სატყეო ტყის გამგე.

ინიშნება: ი. ნ. ცხოვრებაშვილი, მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

19 თებერვალი, 1920 წ., № 53.

ინიშნება: პირველ ხარისხის ტყის გამგის თანაშემწე ა. ა. ისიჩენკო, მეორე ხარისხის ტყის გამგის თანამდებობის აღმასრულებლად, სვანეთის სატყეოში.

28 თებერვალი, 1920 წ., № 54.

ინიშნება: ა. ბ. შერვაშიძე და ს. ი. მე-

დვედვი, მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

25 თებერვალი, 1920 წ., № 55.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწეთ ერმალო ბახვას ძე შალაპერიძე, 20 თებერვლიდან ამა წლის.

25 თებერვალი, 1920 წ., № 56.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწეთ ლიუდვიგ პეტრეს ძე ოზოლი, 20 თებერვლიდან ამა წლის.

25 თებერვალი, 1920 წ., № 57.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწეთ პეტრე პეტრეს ძე სტეკისი, 20 თებერვლიდან ამა წლისა.

25 თებერვალი, 1920 წ., № 58.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწეთ კონსტანტინე ალექსანდრეს ძე კუდრიავცევი, 20 თებერვლიდან ამა წლისა.

25 თებერვალი, 1920 წ., № 59.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწეთ ანდრო სტანისლავის ძე იურჩაქია, 20 თებერვლიდან ამა წლისა.

25 თებერვალი, 1920 წ., № 60.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწეთ ნიკაფორე ნიკოლოზის ძე ცანცაბაძე, 2) თებერვლიდან ამა წლისა.

25 თებერვალი, 1920 წ., № 61.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწეთ არსენ იოსების ძე ლიზენკო, 16 ამა თებერვლიდან.

25 თებერვალი, 1920 წ., № 62.

ინიშნება: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწეთ სტანისლავ ვოშჩინსკი 20 თებერვლიდან ამა წლისა.

27 თებერვალი, 1919 წ., № 63.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სამინისტროს სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო მამულის განყოფილების გამგე დიმიტრი პანტელეიმონის ძე გედევანიშვილი ამა წლის 15 თებერვლიდან.

27 თებერვალი, 1920 წ., № 64.

ინიშნება: სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო მამულების განყოფილების გამგეთ აქსენტი ელიზბარის ძე ჩხაიძე ა. წ. 19 თებერვლიდან.

№ 65.

ვანთავისუფლებულა: ტფილისის ბოტანიკურ ბაღის დირექტორის მოვალეობის აღსრულებისაგან იმავე ბაღის უფროსი ბოტანიკოსი დ. ი. სოსნოვსკი ამა წ. თებერვლის 1-დან.

დაინიშნულია: ტფილისის ბოტანიკურ ბაღის დირექტორის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად იმავე ბაღის თესლის საკონტროლო სადგურის გამგე, ა. ყუკოვსკი ა. წ. თებერვლის 1-დან.

№ 66.

დათხოვნილია: სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო მამულთა განყოფილების მემანქანე ა. ჯაიანი ნაციონალიზაციის გამო, სალიკვიდაციოს მიცემით, ამა წლის მარტის 1-დან.

2 მარტი, 1920 წ., № 57.

დაინიშნულია: სასოფლო მეურნეობის და სახელმწიფო მამულთა განყოფილების მემანქანეთ ნინო ლუკას ასული მენაბდე, ა/წ. მარტის 1-დან

28 თებერვალი 1920 წ., № 68.

დაინიშნულია: აგრ. 5. გ. ავალიშვილი მცხოვრებთათვის აგრარომიულ დახმარების სექციის გამგის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ა. წ. მარტის 1-დან.

4 მარტი, 1920 წ., № 69.

ინიშნება: ზ. ი. ტურევი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწეთ.

4 მარტი, 1920 წ., № 70.

დათხოვნილია არაან: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ნ. ზ. დავითაშვილი და ვ. ვ. ჩანკოტაძე ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი 1-მარტიდან 1920 წ.

4 მარტი, 1920 წ., № 71.

ინიშნება: ა. თვარაძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

მიწათ-მოქმედების მინ. ნ. ხაჭავაძე.

ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა.

16 თებერვალი, 1920 წ., № 10.

გამწესებულნი არიან: ყოფილი ფოსტალიონი მელქისედეკ შენგელია ახლათ ფოსტალიონათ 480 მან. ჯამაგირით ანაკლიის განყოფილებაში, მოქალაქე ნიკოლოზ ვაშაკიძე ზედამხედველთა დაბალი ჯამაგირით თიონეთის კანტონაში, ორივე 1920 წლის 21 თებერვლიდან.

დაინიშნულნი არიან: ვაგრის კანტონის ზედამხედველი ნიკოლოზ ტატიევი ზედამხედველთა მაღალი ჯამაგირით იმავე კანტონაში და ფოსტალიონი ანაკლიის განყოფილებისა გიორგი ხასია მეექვსე ხარისხის მოხელეთ იმავე განყოფილებაში, ორივე 1920 წლის 21 თებერვლიდან.

გადაყვანილნი არიან: ტფილისის ტელეგრაფის კანტონის მესამე ხარისხის მოხელე ილარიონ კურტიანიძე და ვაგრის მეხუთე ხარისხის მოხელე ვასილ სოსელია იმავე ფონდებით: კურტიანიძე—ტფილისის მეორე სამოქალაქო განყოფილებაში, სოსელია—სოხუმიში—ორივე 1920 წლის 16 თებერვლიდან.

დათხოვნილნი არიან: ხაშურის კანტონის ფოსტალიონი დავით სამხარაძე, სამტრედიის ზედამხედველი არამ ესტიანიცი, ფასანაურის მედამხედველი მოსეს მანუჩარიანიცი, თიონეთის ზედამხედველი მიხეილ ვასილევი და ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ტფილისის მეხუთე ხარისხის—გიორგი ვასაძე, სოხუმის მეხუთე ხარისხის—სერგო კახიანი და ქუთაისის სამოქალაქო განყოფილების მეხუთე ხარისხის სოფიო სანებლიძე. სამხარაძე 11 იანვრიდან, ესტიანიცი 21 თებერვლიდან, მანუჩარიანიცი, ვასაძე და ვასილევი 1 თებერვლიდან, კახიანი 16 თებერვლიდან, და სანებლიძე 14 თებერვლიდან, ესტიანიცი, მანუჩარიანიცი, კახიანი და სანებლიძე თანახმად თხოვნებისა.

გამორიცხულნი არიან: მეექვსე ხარისხის მოხელე ქალი ტელეფონის ქსელისა ნადედა ქორშია, მეხუთე ხარისხის მოხელე ტფილისის ფოსტის კანტონისა ივანე დავიძოვი, ზედამხედველი ტფილისის ტელეგრაფის კანტონისა არშაკ ნონიკიანიცი და ფოსტალიონი ტფილისის ფოსტის კანტონისა გიორგი მონიავა, ქორშია სიკვდილის გამო 9 თებერვლიდან, ნონიკიანიცი ხელისნათ ვადარიცხვის გამო, მონიავა სამხედრო სამსახურში მიღების და დავიდოვი სხვა უწყებაში სამსახურში გადასვლის გამო. ნონიკიანიცი 1 თებერვლიდან, დავიძოვი 1919 წლის 2 დეკემბრიდან და მონიავა 1 თებერვლიდან 1920 წელსა.

სამმართველოს უფროსი მგელაძე.

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმ. სამინისტროში

ერთდროული დახმარება.

გუმისჯანის სამხარო ერობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა მიეცეს თემებს ერთდროული დახმარების სახით 800.000 მანეთი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილება სათანადო მოხსენებას ამზადებს ამის შესახებ მთავრობაში წარსადგენათ.

ქართველი დენიკინელი ოფიცრები

კონსტანტინეპოლში.

საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში იუწყება, რომ უკანასკნელ დროს მისი შიგნით ქართველი ოფიცრები მოდის, რომელთა უმეტესობა მსახურობდა დენიკინის ჯარში, და თხოვლობს პასპორტს. უმეტესობა აცხადებს, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ ემსახურათ მოხალისეთა ჯარში. ვინაიდან ეს კითხვა ვერ გადაწყვეტილა მისიას ადგილობრივ, იახოვენ განმარტებას თუ რა აზრისაა მთავრობა დენიკინის ჯარში ნამსახურ ქართველ ოფიცრთა შესახებ.

კონტროლანდა.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო იუწყება, რომ ისევ გრძელდება კონტროლანდის შემოტანა ბათუმში და ითხოვს სათანადო ზომების მიღებას ამ გავლენის აღსაკვეთად.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამის შესახებ სათანადო განკარგულება მოახდინა.

2.261.085 მანეთი თიონეთის ერობისათვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილებამ შემდეგი შინაარსის მოხსენება წარუდგინა მთავრობას.

თიონეთის სამხარო ერობის გამგეობამ, თანახმით მზრის ხმოსანთა ყრილობის დად-

გენილებისა, წარმოადგინა მთელი რიგი დასაბუთებულ მოხსენებებისა და გვეთხოვა აღძრულ იქმნას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მთავრობამ ვანზრახულ გვემების შესასრულებლად სესხათ მისცეს ერობას 4.261.085 მან.

ეს თანხა ესაჭიროება ერობას: 1) თიანეთ-თუშუტებ-ბულაჩაურის გზის ვასაკეთებლად, რასაც წარმოადგენილ ხარჯთ-აღრიცხვით დასტვირდება: 888.799 მან. თიანეთის მაზრა ჩამორჩენილი მაზრაა. უგზობა, აბრკოლებს რა მიმოსვლას მაზრაში, ხელს უშლის ერობის გამგეობას მიიწვიოს საჭირო რიცხვი ინტელიგენტებისა, რადგან ამ უკანასკნელთ უძნელებათ მოწყვეტილ კუთხეში ცხოვრება. ამიტომ თიანეთის სამხარო ერობის გადაწყვეტილება გამოწვეულია აუცილებლად საჭიროების მიხედვით.

2) თიანეთის სამხარო ერობის წარმოებათა მისაწყობათ, რასაც წარმოადგენილ ხარჯთ-აღრიცხვით სჭირია 2.061,085 მან. ერობის გამგეობა ფიქრობს წარმოების შექმნით გაადიდოს თავისი შემოსავალი და ამავე დროს მაზრას მისცეს რამოდენიმე ხელსაყრელ-საწარმოვო დაწესებულება, რაც საჭიროებას შეადგენს მაზრისთვის. ასეთებია: ა) ელექტრონის სადგური და მატორიანი წისკვილი, ბ) სახერხი ქარხანა და გ) საქსოვსართავი ფაბრიკა.

3) სასკოლო შენობის ასაგებათ, რასაც ხარჯთ-აღრიცხვით სჭირდება 1.000.000 მან. თიანეთის მაზრა მეტად ღარიბია სკოლებით. მთელს მაზრაში შესაძლებელია მხოლოდ რამოდენე შენობა გამოდგეს სკოლებისთვის, ერობა ფიქრობს თიანეთში მოაწყოს ერთი სამავალითო სკოლა, სადაც მოთავსებულნი იქნებიან მთიულეების შვილები. მთიულეთში მოსული ხალხი ვერაფერს ვახდებდა. საჭიროა თითო ადგილობრივი მკვიდრი იმდენად მომზადდნენ, რომ მათ შესძლებს წერა-კითხვის ცოდნის შეტანა მთიულეთში. განზრახული სკოლა ამ მიზნით უნდა მოეწყოს. სკოლაში მოეწყობა მოწაფეთათვის და მასწავლებელთათვის ბინები, სახელისნოები და სხვა. განზრახული შენობა დაჯდება 8.560.000 მან. ამას მოაკლდება ნატურალური ბეგარა და სხვა ხარჯები 4.417.100 მან. შენობა უნდა დამთავრდეს ორი წლის განმავლობაში. ერობის ხმოსანთა ყრილობა სთხოვს მთავრობას ხუთი წლის ვადით სესხს-მხოლოდ 1.100.000 მან.

4) თიანეთის-სამხარო-გრდანი-ტფილისის გზის გამოკვლევის საჭიროებისათვის, რასაც დასჭირდება 222.000 მან.

ამ გზას დიდი მნიშვნელობა ექნება მაზრისათვის და ამიტომ მთავრობამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს ერობას სესხის სახით მოგახსენებთ რა ზემო აღნიშნულს, საჭიროდ მიგვაჩნია მიეცეს თიანეთის. სამხარო ერობას, წარმოადგენილ მიზნების განსახორციელებლად. 4,261,085 მ. სარგებლიანი სესხი ხუთი წლის ვადით.

გაყვანილი ქართველი დახმარება

დაარსდა მაჰმადიან ქართველთა დახმარება საზოგადოება, რომლის წესდებასაც აქვე ვათავსებთ:

1) საზოგადოება არსდება ქალაქ ტფილისში.

2) საზოგადოების მიზანია დახმარება გაუწყოს მაჰმადიან ქართველობას: ა) დაარსებს მაჰმადიან ქართველთათვის სკოლებს, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, ბ) დაარსებს სხვა და სხვა სასწავლებლებში სტიპენდიებს მაჰმადიან ქართველთათვის, გ) დაარსებს სამკითხველოებს და აგრეთვე აგრეცილებს ქართულ წიგნებს და წერა კითხვას მაჰმადიან ქართველთა შორის, დ) ხელს უწყობს სამეურნეო და საზოგადოდ ტენიკურ ცოდნის განვითარებას მაჰმადიანთა შორის, ე) საზოგადოდ უწყებს ყოველგვარ დახმარებას მაჰმადიან ქართველებს, რომელიც კი მიზან შეწყონილი და საერთო სარგებლობისთვის საჭიროდ იქნება ცნობილი.

3) საზოგადოების საშუალებას შეადგენს: ა) საწევრო გადასახადი, ბ) შემოწირულებანი, საქველმოქმედო მიზნით გამართული საღამოების, კონცერტების, წარმოადგენების, სეირნობების, თუ სხვა და სხვა ვასართობების შემოსავალი და დ) საზოგადოების საშუალებათა ვასაძლიერებლად მოწყობილ საგაჟრო საქმეების შემოსავალი.

4) საზოგადოების შეადგენენ—საპატიო და ნამდვილი წევრები.

5) საპატიო წევრს ირჩევს საზოგადოების საზოგადო კრება რაიმე განსაკუთრებულ დავლისათვის საზოგადოების წინაშე.

6) ნამდვილ წევრებს ირჩევს საზოგადოებრივი წევრები, თანახმად განცხადებისა ნამდვილი წევრი წლიურად იხდის ოც მანეთს, თუ ნამდვილი წევრი წლის განმავლობაში არ გადის ხელსაწყოებს, ის კარგავს წევრობის უფლებას.

7) საზოგადოების საქმეებს განაგებენ: ა) წევრთა საზოგადოება, ბ) გამგეობა, გ) საარჩევნო კომისია.

8) წევრთა საზოგადოება არის ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი. ჩვეულებრივი კრება იმართება წელიწადში ერთხელ გამგეობის მოწვევით. კრება კანონიერია თუ მას დაესწრო წევრთა რაოდენობის ნახევარი. თუ პირველი კრება არ შესდგა, მაშინ მოწვეული იქნება მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

ჩვეულებრივი საზოგადოება კრება ამტკიცებს გასული წლის ანგარიშს და მოქმედებს, მიიღებს მთავალ წლის ხარით-არჩევნებს და მოქმედების გეგმას, ირჩევს გამგეობას და საარჩევნო კომისიას, აგრეთვე საკუროვნების მიხედვით სხვა და სხვა კომისიებს და საზოგადოების ახალ წევრებს.

9) მიმდინარე საქმეების გასამართლებლად და სამომავლოდ საზოგადოება ირჩევს 3 წლის ვადით გამგეობას, შემდგომ 5 კაცისაგან და 3 კანდიდატისაგან. გამგეობა თვითონ ირჩევს თავმჯდომარეს, მის ამხანაგს და მდივანს.

10) საზოგადოება კრება ირჩევს საარჩევნო კომისიას 3 კაციდან და 2 კანდიდატისაგან. საარჩევნო კომისიის მოვალეობაა თვალყურს ადევნოს გამგეობის მოქმედებას, შეამოწმოს გამგეობის მოქმედება და წარუდგინოს მოხსენება საზოგადოებას.

11) საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს განყოფილებანი სხვა და სხვა ადგილს რომელიც იმართება წესდების თანახმად გამგეობის მიერ მიცემულ ინსტრუქციებით. თუ წინი ცნობა არაიქნა მიზეზის გამო საზოგადოება დაიშალა იმ შემთხვევაში მთელი კონება საზოგადოებისა ვადის დასრულებამდე შორის წერა კითხვის გამაგრებულ საზოგადოების საკუროვნებლად.

ადრეინჯანის რესპუბლიკის გარეშე საქმ. სამ. საინფორმაციო განყოფილება.

გაზ. „სლოვო“-ს მე-81 №-ში, რომელიც გამოდის ტფილისში, მოთავსებულია ტექსტი ოსმალთა-ადრეინჯანის სამხედრო კონვენციისა, დადებული 1918 წ. ოქტომბრის 29-ს ოტომანის სამეფო მთავრობისა და ადრეინჯანის რესპუბლიკის შორის შეტყუა-თავდაცვის მიზნით ვილაც რწმუნებულის მ კერძოების სახით.

ადრეინჯანის რესპუბლიკის ვარგე საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება საჭიროთ სტნობს განაცხადოს, რომ აღნიშნული ცნობა სიმართლეს მოკლებულია და ბოროტგანზრახული პროვოკაციაა.

უცხოეთი

ვილქელმი ჰოლანდიაში.
გაზეთ „დეილი ექსპრეს“-ს ვადმოცემით ჰოლანდიაში ვილქელმის ყოფნა მწვავე საკითხს იღებს. ახლო მომავალში მოვლიან მოკავშირე სახელმწიფოებიდან ახალ ნოტუს, ფორმბენ, რომ ვილქელმს აეგრძალება ჰოლანდიის ტერიტორიაზე ცხოვრება.

ჭუნგრეთი და გერმანიის რეაქცია.
ჭუნგრეთის მთავრობის წრეები დიდ იმედებს ამყარებდნენ კაპა-ლიუტვიციის მთავრობაზე. ჰუნგრეთს სჯერა მონარქისტების ბუნებრივი და გერმანიაში მონარქიის აღდგენით შესაძლებლად მიაჩნიათ ჰუნგრეთის მონარქიული წესწყობილების დაყარება. გერმანიის ხალხი, როგორც ჰუნგრეთის დარჩათვის დინასტიის ერთგული. თუ ლიუდვიგ-ორავი შეიქმნება ბატონ-პატრონად ბერლინში, მაშინ, ჰუნგრეთში ვარდატება-რამდენიმე კვირის საქმეა. საეკვიპო, რომ გერმანიის მთავრობამ შესარულოს ის პირობები, რომელიც დაუდო ვერსალის ხელშეკრულებამ. მკლმანსოს შრომა უქვევლია უქმად ჩაივლის.

სან-რემოს ხსლომები.
სან-რემოს ხსლომებზე მონაწილეობას მიიღებენ: ლიუტვი და სფორცია. ხსლომებზე მონაწილე ვიკონომიური საკითხები.

იტალია და ჰუნგრეთი.
ახლო მომავალში იტალიის და ჰუნგრეთის შორის პოლიტიკური მოლაპროშების თათბირი იქნება. თათბირი დანიშნული იქნება უმთავრესად რომში და ვენეციაში.

მდგომარეობა დაღესტანში.

დაღესტანში საბჭოთა რუსეთის ჯარი შეუერთდა დაღესტანის სამხედრო ნაწილებს.

ჩრდილო კავკასია.

მთის რესპუბლიკის მთავრობის მოლაპარაკებამ საბჭოთა რუსეთთან უქმად არ ჩაიარა. ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკა შედის, საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკაში, ფედერატიულ კავშირით.

ადრეინჯანი და საბჭოთა რუსეთი.

საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებებზე ადრეინჯანის დელეგაციაში შედიან: ემირ ალა, რიზაევ ბაღირი, ვეკილოვ რაგიმი, მელიქოვი და ზოგიერთი სოციალისტები.

იტალია და საქართველო.

იტალიის ვაზეთები ხშირად სწერენ წერილებს საქართველოს შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საქართველოს და იტალიის შორის საქონლის ვაცვალ-გამოცვლას.

გაზეთ „ტრიბუნა“-ს ერთ-ერთ თანამშრომელს უსაუბრია სენატორ კონტანს სხვა და სხვა ეკონომიურ საკითხებზე. სენატორ კონტანს მოკლე განუბარტებია თვისი შეხედულებანი გზების მიმოსვლის, პოლიტიკის და ამიერ-კავკასიის მრეწველობის შესახებ. კონტანს შეხედულებანი დაბეჭდილია „ტრიბუნა“-ში მარტის 31-ის ნომერში.

„ყველაზედ უწინარეს ჩვენ ყურადღება მივაქცევთ რკინის გზის გაყვანის საკითხს. ურკინისგზოდ იქ შეუძლებელია ვაჭრობა-მრეწველობის უზრუნველყოფა. როდესაც ეს დიდი ვაჭრობა მიემართება მეუფის რუსეთში, რკინის გზის უქონლობას ისეთი დიდი კაპიტალური მნიშვნელობა არა ჰქონდა, როგორც დღეს, ვინაიდან კასპიის ზღვა ზღმდინარე ვოლგა უზრუნველ ჰყოფდნენ საქონლის გადატანას. დღეს კი, როდესაც ამიერ-კავკასიის სახედნიეროდ, მათი ვაჭრობა მიმართულია დასავლეთისკენ, შეუძლებელია, მნიშვნელოვან ვაჭრობის დაჭერა, ვიდრე რკინის გზა არ იქნება გაფართოებული, რომელიც შეუერთდება ექპორტულ პორტებს-მთავარ ცენტრებს. რკინის გზის სპეციალური კომისია, ინჟინერ ტრესკის, რისონის და სალვინის მეთაურობით, იმუშავებს პროექტს ამ საკითხის ვარდასაწყვეტად“.

ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ, კონტანს განაცხადა შემდეგი: „მართალია ბალშევიკები სფეროსეს წარმოადგენენ კასპიის მხარესთვის, მაგრამ ისინი აპირებენ იქ შესვლას. ჩემი რწმუნით ამიერ-კავკასიის პოლიტიკის უზრუნველყოფისთვის საჭიროა ევროპის სახელმწიფოების ხელის შეწყობა, რომ საბოლოოდ გადასწყდეს ამ რესპუბლიკათა საზღვრების საკითხი. ამის გარდა საჭიროა, რომ კავკასიის რესპუბლიკები შეეკავშირდნენ ფედერაციით“.

თანამშრომლების შეკითხვაზე თუ როგორ უყურებენ იტალიელებს ამიერ-კავკასიაში სენატორმა უპასუხა: „ძალიან კარგად. ჩვენი პოლიტიკა აღმოსავლეთში განიჩრევა სხვა სახელმწიფოების პოლიტიკისთან და ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული თანავრძობით ვუკიდებთან“.

გუნისიკალური ცხოვრება

ხილნალის ქალაქის თვითმმართველობაში.

5 აპრილის სხდომის დადგენილებანი:
— განათავისუფლებულ იქმნას გამგეობის წევრი გ. გომიფვი სამსახურიდან და მიეცეს დახმარების სახით ერთ-თვის ჯამაგირი 490) მან.
— გადიდებულ იქმნას კონსტანტინე ნადირაშვილის პენსია და 300 მან. მაგირი მიეცეს თვეში 600 მან.
— არჩეული იქმნას ხმოსანთავან კომისია სამი პირისაგან ჯარში ვასწვევ ახალგაზრდათა სიების გადასათვალთვრებლათ. კომისიაში არჩეულ იქმნენ ერთხმით ხმოსნები: ვ. მესტიაშვილი, ვ. ბუეაშვილი და ი. ტერადავიდოვი.

— არჩეულ იქმნას კომისია სამი პირისაგან, რომელსაც დაევალოს ბინების შეფასება და ქირის განსაზღვრა. კომისიის წევრებათ დასახლებულ იქმნენ: კ. ტყავაძე, რ. მენთე-შაშვილი, ა. აბრამიანი რომელნიც ერთხმით არჩეულ იქმნენ.
— თავმჯდომარე ი. კრაწაშვილმა ვაკეთა მოხსენება და ვაკნო კრებას, რომ საჭიროა ქალაქში დაარსდეს სამუსიკო სკოლა.
— დაარსება და ხელმძღვანელობა ამ სკოლისათვის ითავოს ქალაქის გამგეობამ.

გადაიდოს სამუსიკო სკოლის დასაარსებლად 20,000 მან. და შეტანილ იქმნას 1920 წლის ხარჯთ-ალრიცხვაში.

— ქალაქის საგანმყოფოში მოისპოს ავადმყოფების გასინჯვის ფასი, ხოლო საავადმყოფოს ვარგე გასინჯვის ფასი 50-მანეთით დაწესდეს.

— ეთხოვოს სახალხო განათლების სამინისტროს მიიღოს თავის თავზე ქალაქის 17 მსწავლელების ჯამაგირი, რაც თვიურათ უდრის 61,200 მანეთს, წლიურათ 134,400 მან.

— ეთხოვოს საზარო ერობას დაუთმოს ქალაქ მელანის სადგურზედ საფუთო გადასახადი შემოღება.

— ქალაქის თავის მოადგილე ი. გოცირიძემ ვაკეთა მოხსენება და ვაკნო კრებას მთელი 1919 წ. შემოსავალ ვასავლის რაოდენობა და გამგეობის საქმიანობა, თუ რა შეიძინა და ვაკეთა ქალაქისთვის ამ 1919 წლის განმავლობაში.

— დამტკიცებულ იქნას ამ 1920 წლის ხარჯთალრიცხვა.

გვერანათა საქარალყოფი.

უკანასკნელ წლებში კვნიტი შაბაბანის მავიერ საზღვარ-გარეთიდან შემოაქვთ ფხენილი შაბაბანი. ხალხი ეჭვის თაღით უცქერის მის ღირსებას და ცდილობს მეტიც რომ დაუჯდეს მაინც კვნიტი შაბაბანი შეიძინოს. ამის გამო კვნიტი შაბაბანი ბაზარზე 200—300 მანეთით მეტი ფასობს ვინემ ფხენილი.

ხშირად მეკითხებიან: ღირსებით რომელი სჯობს, ფხენილი თუ კვნიტი შაბაბანი? სინფენილეს შაბაბანის ღირსებაზედ არავითარი ვაფლენა არა აქვს. შაბაბანი შეიძლება ცუდი ღირსების იყოს მიუხედავად იმისა ფხენილი იქნება ის თუ კვნიტი. კერძოთ იმ ფხენილი შაბაბანის შესახებ, რომელიც ქიათურის შავი ქვის მრეწველობა აქციონურ საზოგადოებას აქვს შეძენილი და ზესტაფონის საწყობებში ინახება, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის ძლიერ კარგი ღირსებასაა. გამოკვლევამ დაგვანახა, რომ მასში ვარგე ნივთიერებანი მხოლოდ 0,2% ურევია, დანარჩენი 99,8% კი წმინდა შაბაბანია. მაშასადამე ნაკლი მას არავითარი არა აქვს და ხმარებაც მას ისე უნდა, როგორც კვნიტი შაბაბანს.

ვთხოვ სხვა ვაზეთებსაც ეს განმარტება გადაბეჭდონ.

საქარის სანერვის გამგე ქიმიკოსი

კ. მოღებაძე.

ქართულ კათოლიკეთა კონფერენცია

დიდი ხანია, რაც მესხეთ-ჯავახეთის ქართველ კათოლიკობა ცდილობდა თავი დაეხსნა სომეხ-კათოლიკეთა სამღვდლოების ვავლენიდან, სამუდამოთ მოშორებოდა აღმოსავლეთის ტიბიკონს; ბევრჯერ აღიძრა ამის შესახებ შუამდგომლობა, მაგრამ ამაოდ, დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ ვეღირსეთ.

ბოლოს, შარშან ზაფხულში, რომიდან გამოგზავნილი იქნა საგანგებოთ დანიშნული ვიზიტორი მამადლეფტეშე საქმის ვითარების გამოსარკვევათ. მაგრამ მას, მოსვლისავე, ეტყობოდა სომეხ კათოლიკეთა ვიზიტატორ-ტერაბრამიანცის ვაფლენა.

მაგრამ, როცა მ. დელფეშემ დაიარა ახალციხის მაზრა, ქუთაისი და ბათუმი, მაშინ თავისი აზრი შესცვალა და წინადადება მისცა აქაურ კათოლიკობას, რომ მოეწვიათ კონფერენცია, რომლის დადგენილების თანახმად ვიშუამდგომლებ რომის პაპის წინაშეთ. ეს ქართველ-კათოლიკების ბედის ვადამწყვეტი კონფერენცია შესდგა ამ წლის აპრილის 7-ს ტფილისში, ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით, კონფერენციაზე გამოცხადდნენ მესხეთ-ჯავახეთის, ქუთაისის, ტფილისის და სხვა დელეგატები.

კონფერენცია ვაიხსნა ბ. ქარცივაძის თანადანსწრებით და მამა ვიზიტატორ ღონ მიხელის თავმჯდომარეობით. მოკლე კამათის შემდეგ კონფერენცია ერთხმად დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა რომის ტაბტის წინაშე, რათა მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლიკეთა ერი ვადმოყვანილ იქმნენ ლათინის ტიბიკონზე, ე. ი. წესზე და ლოცვა, ვალობა და სხვა საეკლესიო წესის აღსრულება (წირვის ვარდა) იქმნას, ქართულ ენაზე. სამწყურბროთ, უნდა აღინიშნოს, რომ მესხეთ-ჯავახეთის ქართველ კათოლიკები, როგორც ქართველ მამადიანები, კულტურულად ძალიან მეტად ჩამორჩენილი არიან, უბატრონოთ იყვნენ მიტოვებულნი, მათთვის არავინ ზრუნავდა. სომეხეთის სამოვდლოება კი

ცდილობდა სიბნელეში ყოფილიყო ქართველი კათოლიკენი, რომ მათი ვაფლენა მუდამ შეურყეველი ყოფილიყო ლდარჩენილიყო, ქართულ ენაზე ლაპარაკსაც კი გვიკრძალავდნენ. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. საქართველო აღსდგა და ჩვენ იმედი ვაქვს საქართველოს სახელგანი მთავრობა შეეცდება ჩვენ შორის სწავლა-განათლების ვავრცელებას. ვანვითარებულნი უფრო ადვილათ შეეძლებთ კლერიკალთა წინააღმდეგ ბრძოლას.

სხვა და სხვა

აპრილის 16-ს ვანათლების სამინისტროს ბინაზე მინისტრი ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით ვაიმართა საგანგებო სხდომა. სხდომას დაესწრნენ დამფუძ. კრ. ხელოვნების კომისიის და დრამატიულ საზოგადოების პრეზიდიუმის წევრები, სახელმწიფო თეატრის კომისარია და სხვანი. სხდომაზე ვანიშნულეს ქართულ დრ. სტუდიის დაარსების და სწავლის მეთოდის საკითხი. აირჩიეს საგანგებო კომისია. მან უნდა წარუდგინოს ვანათლების მინისტრს მოხსენება. ქართულ თეატრის მომავალ სეზონის გამოსარკვევად მოწვეული იქნება საგანგებო კრება.

ქალაქის გამგეობის დადგენილებით 19 აპრილიდან ტფილისის ყველა კლუბები და რესტორანები უნდა დაიკეტოს ღამის 11 ს.

11 აპრილიდან—15-მდე ქვემო იმერეთში ძლიერი ქარი ჰქროდა. ქარმა მოავალ სახლს სახურავი მოკვლია, დათხარა ხეები, ვაყრევინა ყვევოლები. დიდი ზარალი მიაყენა ქვემო იმერეთის მცხოვრებთ.

აპრილის 9-ს ვრევინის შიდადამოვებში დიდი სეტყვა მოსულა. სეტყვას ძალიან დაუზარალებია ჭირახაზი.

აპრილის 16-ს ნაძალადევის მუშათა კლუბში მინისტრმა ნოე რამიშვილმა ვაკეთა მოხსენება თანამედროვე მომენტის შესახებ. მოხსენების შემდეგ ვაიმართა კამათი.

კახეთიდან იტყობინებიან, რომ წელს იქ მოსავალს ძალიან კარგი პირო უქანს.

გურიის ოლქის შომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ ამა მარტის 31-ს და 31-ს ყრილობას დანიშნული ჰქონდა სესია დაბა ჩოხატაურში. დანიშნული საქმეები ყველა ვარჩეულ იქნა. უწყებები ყველა საქმეებზე ჩაბარებული იყო. ხალხი დიდი სიამოვნებით შეეგება ადგილობრივ საქმეების ვარჩევას.

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ ნათცი მსაჯულები ვილაშვილი, არუთინოვი და ავალანია ნათცი მსაჯულთა კრებაზე ვამოუცხადებლობის ვამო დაჯარიმებული არიან 350 მან. და სასამ. დებულ. 4141 მუხლის მიხედვით. პასუხის ვებაშია მიცემულნი.

კვირის 18 აპრილს საქართველოს მუხების ბოტანიკურ ვანყოფილების ვამგის ბ. შ. იშვილის მეთაურობით აწყობს დღიურ ბოტანიკურ ექსკურსიას თელეთის ქედზე. ექსკურსიაში მონაწილეობის მსურველნი უნდა გამოცხადდნენ საქართველოს მუხეუმში (ლორის-მერიქის ქუჩა № 10) დილის 9 საათისათვის. უქან დაბრუნება ვანზარაზულია საღამოს 5—7 სათამდე.

ქურ. „თეატრი და ცხოვრება“. მორიგი (14) ნომერი ვამოვიდა. ნომერში მოთავსებულია, სხვათა შორის ერთ მოქმედებიანი სრული პიესა „აღების ცეკვა“ (სამი მოქმედ.) ქურნალი შემკულია სხვა და სხვა სურათებით, ჩვეულებრივ დაბეჭდილია კარგს ქალაღზე, სუფთად და ღირს 15 მან.

გ ა ნ ც ხ ა ლ მ ბ ა ნ ი

ქ. ტფილისის

სახელმწიფო დაწესებულებათა

მოსამსახურეების ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირის ვამგეობა ამით აცხადებს, რომ ა. წ. 22 აპრილს, სიღამოს 6 საათზე, დანიშნულია დელეგატთა ყრილობა კავშირის ბინაზე (მუშათა სასახლე რუსთაველის პროსპექტი, არამიანცის სახლი, ოთახი № 66). დელეგატები ირჩევა 25 მოსამსახურიდან ერთი, რომლებიც სათანადო მანდატებით გამოცხადდებიან დანიშნულ ადგილზე. ვასარჩევია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ვამგეობის, 2) წესდების ზოგადოებრივების შეცვლა და შესება, 3) მიმდინარე საკითხები და 4) ახალი ვამგეობის არჩევა. 714 1—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრადიდან თავისუფლების მოწმობა პარმენ პაეღეს ძე ბუგაიანიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. ვაუქმებულათ ჩიითვალოს. (უფ.) 3—3

დაკარგული პასპორტი გაცემული ამიერ-კავკასიის კომისარიატისგან ბორის პეტრეს ძე უფროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 673 3-3

დაკარგული ბიძინა ირაკლის ძე რამიშვილის სიმწიფის მოწმობა, მიღებული ტფ. ქართული გიმნაზიიდან 1917 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 685 3-3

დაკარგული პირადობის მოწმობა ხაია გორუხის ასული რაინაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 679 3-3

დაკარგული ორი სულის სასურსათო წიგნაკი № 3707 ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ვიდარეხის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 663 3-3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში პავლე დანიუკოვი შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ლიუდმილა ფილიპეს ასული, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1910 წლ. უკვალოდ დაკარგა 1910 წელს რის გამო აღნიშნული პავლე დანიუკოვი თხოვლობს ცოლისაგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ლიუდმილა ფილიპეს ასული დანიუკოვის მ. სამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემო ხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა 2 თვის განმავლობაში. 659 3-2

დაკარგული პასპორტი ანა დიმიტრის ასული ჩისტიაკოვის სახელზე, მიღებული მესამე კავკასიის კორპუსის შტაბიდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 708 3-2

დაკარგული პასპორტი ერვანდ ალექს. გუკასოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისგან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 552 3-2

დაკარგული შვიდი სულის სასურსათო წიგნაკი № 22325 და პირადობის მოწმობა სურენ არმენაკის ძე დაშტოიანის სახელზე, მიღებული ქალაქის თვითმართველობიდან, გაუქმებულია ჩაითვალოს. 689 3-2

დაკარგული პასპორტი გრიგოლ ოვანესის ძე ბარსაგინის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, გაუქმებულია ჩაითვალოს. 686 3-2

დაკარგული სამი სულის სასურსათო წიგნაკი № 5106 ანასტასია სიმონის ასული გოგიჩაიშვილის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 704 3-2

დაკარგული საბინაო დეტარი პეტროს არ. კ. ავეტისოვის სახლის. რომელიც მდებარეობს ლიანდაგის ვადალა მირზოევის ბინაზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 683 3-3

წერილებზე მისამართები იწერება უხვრო-მასწოვად და ამითი გვიანდება მათი კუთვნილება ბისამებრს ჩაბარება. ეს გარკვევა იწვევს ფართო ხაზგადღობი უწყალოდღობა.

რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველო მიმართავს წერილებების გამგზავნელთ თხოვნით, სწორედ მისამართი წერილებზე იმ სახით, როგორც ეს დამტკიცებულია საფოსტო დებულებათა მე-83 მუხლით: მარჯვენა კუთხეში ზევით უნდა დაეკრას საფოსტო ნიშნები, მარცხენა კუთხეში დაიწეროს მიმღებების სახელი, მამის სახელი და გვარი, ქვემო მარჯვენა კუთხეში წერილის დანიშნულების ადგილი და მას ქვევით ქუჩის დასახელება, ხსენის და ბინის ნომრები და კონვერტის მეორე გვერდზე გამგზავნელის მისამართი. ნიშნები:

ფორმა ივანე პეტრეს ძე ზამთარაძეს. საფოსტო ნიშნების ადგილი. ტფილისი მთიანეთის ქ. № 14, ბინა № 11.

ამნაირად მისამართების წერა სავალდებულოა გამგზავნელთათვის და უკეთ უზრუნველყოფის წერილების დროზე ჩაბარებას.

გზათა დეკარტაქსი

აქედანვე ყველა დანიტერესებულ რესპუბლიკის სახანო, საერობო, ქალაქების და კერძო სამრეწველო წარმოებათა და პირთა სასურადღებოდ შემდეგს: ტყიბულის მალაროვიდან ქვა-ნახშირის მისაღებად სამრეწველო დარგებში, რომელნიც მუშაობენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, უნდა წარმოადგინონ ვხათა დეპარტამენტში მოწმობა-სახელმწიფო სამრეწველოებში სათანადო სამინისტროებისგან, კერძოდ კი ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის, სამაზრო ერობების და ქალაქის თვითმართველობათაგან. მოწმობაში მტკიცედ უნდა იყოს აღნიშნული თვითური საქირება ქვა-ნახშირისა ამა თუ იმ სამრეწველოსათვის. კერძო პირი ანუ სამრეწველო, რომელიც მუშაობენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეშე და მასთან გეგმები, რომელნიც სდგანან რესპუბლიკის საზღვრებში, ღებულობენ ქვა-ნახშირის მომარაგების სამინისტროსგან, რომელსაც ივინი მიმართავნ სათანადო თხოვნით. კერძო პირებზე ქვა-ნახშირის გაცედა, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, აგრეთვე მის გარეშე, ხდება მომარაგების სამინისტროს მიერ ამ ხსენითის თხოვნები ვხათა დეპარტამენტის მიერ განხილული არ იქნება. 432 3-3

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ტფილისში მომუშავე ყველა ბებია ქალები არიან მოწვეულნი ქალაქის საბჭოს დარბაზში 22 აპრილს 1920 წ. საღამოს 6 საათზე მათზედ შეწერილ ერთდროულ სანიტარულ ეპიდემიურ ვადასახადის ურთიერთ-შორის ვასანაწილებლად. 436 3-2

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოჭაული ი. გელანტია ამით აცხადებს, საყოველთაოდ, რომ 20 აპრილს 1920 წ. დილის 10 საათზე, სენაკში ყრილობის სადგომში, დანიშნულია საჯაროთ გაციდვა უძრავი ქონებისა, კუთვნილი ვარდაცვალეული პლატონი ფაღავას მემკვიდრეებს, რომელიც შეადგენს ერთი ნაკვეთი-ზომით 200 ოთხ. კუთხ. საე.მ იწას, მახედ დგმულ ერთი ხის შენობით 6 განყოფილებაში, დახურული თუნუქით და მდებარე ქალაქ ფოთში კარნილოვის ქუჩაზედ ნომრის ქვეშ № 448. მამულა ესე იყიდება საჯაროდ მოვალე-ქრისტინე მალნარაძის დასაკმაყოფილებლად, აღმასრულებელი ფურცლის ძალით და შეფასებული 1650 მან. მამულზე ყადაღა არ ირიცხება, აწერილობის და საბუთების ნახვა შეიძლება ყოველ დღე ყრილობის სამმართველოში 9 საათიდან 3 საათამდე 1920 წ. მარტს 1 დღესა. 316 1-1

ილარიონ ქუჩუას ძე გაბუნამ დაჰკარგა სოფ. საბუში დე ქნის ნასყიდობის მოწმობა, მალხაზი შენგელიას მიერ ხელ მოწერილი. გაუქმებულია ჩაითვალოს. 426 3-2

დაკარგული ვაკასიის აფთიაქის საქონლით სავაჭრო ამხანაგობის ერთი პაი № 245 გიორგი პავლეს ძე მელიქ-კარაკოზოვის კუთვნილი. გაუქმებულია ჩაითვალოს. 429 3-2

იაკოვ სერგოს ძე ბაშენკო აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1919 წ. ნოემბერში, მოწმობა მიღებული რუსების ნაციონალურ საბჭოსაგან და ფოტოგრაფიული სურათები. გაუქმებულია ჩაითვალოს. 684 3-2

კერძო ვექილმა პავლე გოჯასპირის ძე ლორთქიფანიძემ დაჰკარგა: 1) ძიებთი თხოვნა საჭირის მომხმარებელი საზოგადოების კოოპერატივის გამგეობის თაგმდომარე მაქსიმე კულაშვილის და წვერის გერმანე ცირეკიძის ქუთაისის ოლქის სასამართლოს სხელზედ, რომლითაც ისინი ეძიებდენ ანტონ ცირეკიძესაგან ოცდა ექვსი ათას და რამოდენიმე მანეთს შინაური ხელ-წერილის ძალით, ჩამორთმეულის უკანასკნელისაგან აღვილობრივი კომისრის მიერ 1919 წელში, 2) ასლი იმავე თხოვნისა, 3) ზემო მოხსენებული ხელ-წერილი თავისი ასლით, 4) ქუთაისის ხაზინის კვიტანცია ხუთას რამოდენიმე მანეთის სასამართლოს და სხვა ხარჯების გარდახდისა კულაშვილის და ცირეკიძის მიერ შესახებ მოხსენებული მათი ძიებისა და 5) აბდალაძის აპელაციური საჩივრის ასლი, შესახებ გზის ძიებისა მისგან ბექტორ აბრამის მიერ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 292 3-1

დაკარგული პასპორტი ოლა ვასილის ასული პლოტნიკოვას სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 655 3-3

ივანე იოსების ძე ციბაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ქუთ. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების და მეტრიკული მოწმობა, მიღებული სინოდალურ კონტროლიდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 660 3-3

დაკარგული გორის გიმნაზიის 7 კლასის დამთავრების მოწმობა № 173 და ტფ. მეოთხე კლასთა გიმნაზიის 8 კლ. დამთავრების მოწმობა № 242 და მეტრიკული ამონაწერი ლიბე ზელიკოვის ასული ბროცკის სახელზე, გაუქმებულია ჩაითვალოს. 667 3-3

ენოკ აკოპოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, რომელიც გაუქმებულია ითვლება. 694 3-1

გოგარაგების სამინისტროს მიერ გასული ნებართვების სია

Table with columns: რიცხვი, ნებართვის №, სერია, ფურცელი, გვარი და სახელი, ხ ა ქ ი ნ ე ლ ი.